ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7332758

ნომერი: AR11068802

თარიღი : 09.12.2024

გაცემის თარიღი : 25.12.2024

გაცნობის თარიღი : 26.12.2024

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, სოფელი დიღომი, გიორგი გეხტმანის VIII გასასვლელი, N 17;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ დავითაძე პ/ნ 61004073270
- ქობულეთი დ. ჩაქვი ი.გოგებაშვილის ქ. N 38

ნომენკლატურა :

- ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ინდივიდუალური ორბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ალექსანდრე ზაქარეიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ფორ საიდი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 405141804

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს "ევრო დეკორ"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 446980973
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გურამ დავითაძე

- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 61004073270

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 6248277
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 14.12.2022

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული 2024 წლის 9 დეკემბრის. AR11068802 განცხადება და მასზე თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლის ვადაგასული მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელებას. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან სამშენებლო სამუშაოები ნაწარმოებია შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით. „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის 255 დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გაგრძელება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო ობიექტზე არ არის განხორციელებული ისეთი სამშენებლო სამუშაოები, რომლებიც ამ დადგენილების შესაბამისად საჭიროებენ მშენებლობის ახალ ნებართვას. ამასთან, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ.

აქედან გამომდინარე, სამსახური ვერ განიხილავს ვადაგაუსვლელი მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების საკითხს და ვერ დააკმაყოფილებს თქვენს მოთხოვნას. საჭიროა, შესაბამისი ელექტრონული განაცხადით მომართოთ სამსახურს შეთანხმებული პროექტის კორექტირებასა და მშენებლობის ნებართვის გაცემაზე და დამატებით ფაილში წარმოადგინოთ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული დადგენილება სამშენებლო–სამართალდარღვევის საქმეზე და შესაბამისი დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი; მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის კალენდარული გრაფიკი განაახლეთ ნაწარმოები მშენებლობის შესაბამისად (ეტაპების სახით გაწერეთ დარჩენილი სამუშაოები) და წარმოადგინეთ არსებული სიტუაციის ამსახველი უახლესი ფოტომასალა თარიღის მითითებით.
ასევე ვინაიდან AR11070142 განცხადებით პარალელურად პროექტი განხილვაშია, საქმის წარმოება გაგრძელდება იმავე განცხადებაზე.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.